პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 174 (11785) | პარასკევი, 29 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

დიდება თქვენს შრომას, მეჩაიეებო!

„ამხანაგო მეჩაიეებო, თქვენი შრომითი გმირობით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეთ რესპუბლიკის მშრომელებში. ახლა დაიწყო ცხარე, გადამწყვეტი დღეები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გამარჯვება. თქვენ ახლა შესაძლებლობა გაქვთ, რომ არ შეანელოთ კრებულის დასაწყისში აღებული ტემპი და ეჰვი არ არის, რომ, ისევე როგორც წინა წლებში, შეასრულებთ სამშობლოსთვის მიცემულ პირობას“.

(საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვიდან რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ შრომისუბნის არტელის მეჩაიემ თამარ გუმბარიძემ ვალდებულება იკისრა 0,8 ჰექტარზე მოკრიფოს 4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. დღემდე მან ჩაის ფაბრიკას ჩაბარა 1.800 კილოგრამი ჩაის ნედლეული. სურათზე: თ. გუმბარიძე.

ფოტო ა. აბულაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

წიგნის ვაჭრობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება წიგნის ვაჭრობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებს და თქვენი სახით მოსახლეობაში წიგნის ყველა გამავრცელებელს.

ჩვენს ქვეყანაში წიგნის ვაჭრობა საერთოსახალხოური და საერთოსახელმწიფოებრივი მუშაობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. წიგნი ჩვენში მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში. იგი საბჭოთა ადამიანის სულიერი განვითარებისა და მაღალი კულტურის ერთ-ერთი წყაროა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა.

წიგნის ვაჭრობის მუშაკებს ეკისრებათ დიდმნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანა — დროულად მიაწოდონ საბჭოთა ადამიანებს საჭირო და სასარგებლო წიგნები. მოსახლეობის ფართო ფენებში ლიტერატურის გავრცელებით თქვენ დიდ დახმარებას უწევთ კომუნისტურ პარტიას პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკური და პროფესიული ცოდნის პროპაგანდაში. ყოველმხრივ მხარდაჭერასა და წახალისებას იმსახურებს წიგნის ვაჭრობის მოწინავე მუშაკთა ინიციატივა მყიდველებთან წიგნის მიტანის ახალი ფორმების დანერგვის დარგში, ქალაქად და სოფლად ლიტერატურის გავრცელებისათვის საზოგადოებრიობის ფართოდ ჩასაბმელად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახალ დიდ წარმატებებს უსურვებს წიგნის ვაჭრობის მუშაკებს მათს დიდმნიშვნელოვან საქმიანობაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც ურყევად იბრძოლებენ, რათა საბჭოთა წიგნის ვაჭრობა შეესაბამებოდეს მშრომელთა გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებას, საბჭოთა ადამიანების კულტურისა და კომუნისტური შეგნებულობის ყოველმხრივი ზრდის საერთო ამოცანებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

28 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პირველი მდივნები და დიდი ქარხნების პარტკომების მდივნები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეები, საწარმოთა დირექტორები და მთავარი ინჟინრები, მეცნიერები, მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავენი და ნოვატორები, სახელმწიფო და სპეციალური კონსტრუქტორო ბიუროების უფროსები და მთავარი კონსტრუქტორები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების პროფავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ საქალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. ი. ჩოგოვაძე,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **მ. თ. ბღაჟბა,** სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. **გ. ვ. ყამიერაშვილი,** გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **მ. ი. იაშვილი,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **ს. კ. ჩხარტიშვილი,** ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ამწყობი ზეინკალი ამხ. **ი. გ. ხაზარაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრი ამხ. **ი. ს. მიქელაძე,** სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. **ნ. გ. პრიხოდკო,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. დ. კოზაევი,** მრეწველობის საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციის გორის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **გ. გ. ბერძენიშვილი.**

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

ერთხმად მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სიტყვას აძლევს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელი კიდევ უფრო გააძლიერებენ შემოქმედებითს ინიციატივას ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარებისათვის, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, წარმატებით განახორციელებენ დიდ და საპატიო ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციას კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუქარესტის თათბირის შედეგების შესახებ. ჩვენი ქვეყნის ყველა პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სავსებით უჭერს მხარს სკკპ დელეგაციის პოლიტიკურ ხაზსა და საქმიანობას ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ბუქარესტის თათბირზე და თათბირის კომუნიკეს.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში.

იქნება 200 ტონა ჩაი—
ვალდებულების გადამეტებით კისრულობენ ხოგელები

ხოგი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილს რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი.

ჩაის კრეფის საკითხზე გაიმართა რაიონული თათბირი, რომლის მონაწილეებმა გადაწყვიტეს: წინათ ნაკისრი ვალდებულება შეასრულონ უახლოეს დღეებში და ვალდებულების გადამეტებით მოკრიფონ და საბელმწიფოს ჩაბარონ 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ხუნჯუა) იკისრა ვალდებულების გადამეტებით მოკრიფოს 70 ტონა ჩაი. ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. კემულარია) გადაწყვეტილებაა ვალდებულების გადამეტებით მოკრიფოს 60 ტონა. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სოფელ პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის, ძველი ხიბულის ლენინის სახელობის, ბიის კალინინის სახელობის, ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა და ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ.

იქნება 100 ტონა ჩაი—
ვალდებულების გადამეტებით კისრულობენ გუდაუთელები

გუდაუთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ახალი შრომითი ენთუზიაზმი სუფევს რაიონის ჩაის პლანტაციებში. მეჩაიეები გულდასმით ეცნობიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წერილს. გუდაუთელებმა სეზონის დასაწყისში ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ 2.600 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.400 ტონისა. ექვსი თვის მუშაობის შედეგების მიხედვით აფხაზეთის რაიონებს შორის გუდაუთის რაიონს მიეკუთვნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

გუდაუთელებმა იკისრეს ვალდებულების დამატებით მისცენ სამშობლოს 100.000 კილოგრამი ჩაი. წინათ ნაკისრი ვალდებულება დღემდე შესრულებულია 87,8 პროცენტით. სოფელ დურიფშის კოლმეურნეობამ უკვე მოკრიფა 1.300 ტონა ჩაის ფოთოლი და ნაკისრ ვალდებულებას (1.500 ტონა) ვადაზე ოცი დღით ადრე შეასრულებს. დურიფშელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა 10 აგვისტოს შეასრულონ და წლიური გეგმის გადამეტებით 20 ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფონ.

ჩაის კრეფის წლიური გეგმები უკვე შეასრულეს მე-16, მე-14 და მე-5 ბრიგადებმა, რომლებსაც ზ. არძინბა, ი. პკინი და რ. ბუთბა ხელმძღვანელობენ.

იქნება 100 ტონა ჩაი—
ვალდებულების გადამეტებით კისრულობენ ხიბულელები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდელ ჩაიმოყვარეებს ეამაყებათ ჩაის ბაღებში ბრიგადა ალ. ბერიძის ბრიგადა. ბრიგადა ალ. ბერიძეს ეკისრა ვალდებულება 0,8 ჰექტარზე მოკრიფოს 4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი

ადამიანზე ზრუნვის

მკაფიო მაგალითი

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ სოციალისტური მეურნეობის ზრდასთან ერთად გადასახადების მნიშვნელობა თანდათან შემცირდება და სახელმწიფო ფინანსები დაემყარება სახელმწიფო საწარმოთა შემოსავლის გარკვეული ნაწილის უშუალო გადარიცხვის სახელმწიფოს საჭიროებისათვის. ლენინის ეს წინასწარმეტყველება მთლიანად დაადასტურა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ. წარმოების ზრდისა და სოციალისტური საწარმოებიდან შემოსავლის გადიდების მიხედვით, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებდნენ მოსახლეობის გადასახადების შემცირების კურსს. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მხოლოდ ერთი, სამხედრო გადასახადის გაუქმებით შემცირდა მოსახლეობის გადასახდელები 20 მილიარდ მანეთზე მეტი ოდენობით წელიწადში. 1953 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემცირდა 2,5-ჯერ, შემდგომ წლებში საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლდნენ დაბალხელფასიანი მუშაკები დაუბეგრავი მინიმუმის გადიდების გზით, შემცირდა ამ გადასახადის განაკვეთები. მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლდა აგრეთვე უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდისაგან. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებით მოსახლეობის გადასახდელები წელიწადზე გაანგარიშებით კიდევ 13 მილიარდი მანეთით შემცირდა.

გარდა ამისა, დაწყებული 1958 წლიდან შეწყვეტილ იქნა სახელმწიფო სესხების გამომვება, რომლებიც ვრცელდებოდა მოსახლეობაში ხელის მოწერის წესით და წელიწადში საშუალოდ 25 მილიარდ მანეთს შეადგენდა, გაუქმდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებისაგან. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გადიდა მოსახლეობის შემოსავალი და აამაღლა ხალხის ცხოვრების დონე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა სოციალური საფუძველი მოსახლეობის გადასახადების გაუქმებისათვის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდამ, განსაკუთრებით შვიდწლიდის პირველი წლის დაკალებათა შესრულებაში მიღწეულმა წარმატებებმა შექმნა ეკონომიური ბაზა იმისათვის, რომ გადასახადების გაუქმების შესაძლებლობა სინამდვილად გვექნა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასზე გადასახადების გაუქმება მოხდება ეტაპობრივად დაწყებული 1960 წლის 1 ოქტომბრიდან 1965 წლამდე.

მომდინარე წლის ოქტომბრიდან (სექტემბრის ხელფასის მიხედვით) შეუწყდებათ საშემოსავლო გადასახადისა და უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის დაკავება იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც თვეში იღებენ 500 მანეთამდე ხელფასს. ამკამად გადასახადების გადახდისაგან განთავისუფლებული არიან თვეში 370 მანეთამდე ხელფასის მქონე მუშა-მოსამსახურენი. ამავე დროს საშუალოდ 40 პროცენტით შემცირდება ამ გადასახადების ოდენობა 501-დან 600 მანეთამდე ხელფასზე. თუ ამკამად 503 მანეთი ხელფასიდან მუშა-მოსამსახურეს იქვითება საშემოსავლო გადასახადი 26 მანეთი და 30 კაპიკი, 1 ოქტომბრიდან ეს გადასახადი აღნიშნულ ხელფასზე შეადგენს მხოლოდ 1 მანეთს. საშემოსავლო გადასახადი 550 მანეთ ხელფასზე შემცირდება 31 მანეთიდან 18 მანეთამდე.

1961 წლის 1 ოქტომბრიდან შეუწყდებათ საშემოსავლო გადასახადისა და უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის დაკავება იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ხელფასს იღებენ 600 მანეთამდე თვეში, ხოლო 601-დან 700 მანეთამდე ხელფასზე ამ გადასახადების ოდენობა შემცირდება საშუალოდ 40 პროცენტით.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საშემოსავლო გადასახადი შემცირებული იქნება, მაგალითად, 602 მანეთ ხელფასზე 36 მან. 20 კაპიკიდან 1 მანეთამდე, 650 მანეთზე 41-დან 23 მანეთამდე.

1962 წლის 1 ოქტომბრიდან მთლიანად შეწყდება საშემოსავლო გადასახადისა და უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის დაკავება 700 მანეთამდე ხელფასიდან. ამ გადასახადების ოდენობა კი საშუალოდ აგრეთვე 40 პროცენტით შემცირდება 701-დან 800 მანეთამდე ხელფასზე. მაგალითად, 702 მანეთი ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადი გადახდება მხოლოდ 1 მანეთის ოდენობით ნაცვლად ახლანდელი 46 მან. 24 კაპიკისა; 750 მანეთზე — 29 მანეთი ნაცვლად 52 მანეთისა;

1963 და 1964 წლებში კიდევ უფრო გაფართოვდება იმ პირთა რიცხვი, რომელთა ხელფასიდან გადასახადების დაკავება იწარმოებს შემცირებული განაკვეთებით. 1963 წლის 1 ოქტომბრიდან შემცირებული იქნება საშემოსავლო გადასახადისა და მარტოხელა მოქალაქეთა გადასახადის განაკვეთები სამუშაო ადგილზე თვეში 501 მანეთიდან 600 მანეთამდე ხელფასზე, ხოლო 1964 წ. 1 ოქტომბრიდან 701 მანეთიდან 1.000 მანეთამდე ხელფასზე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ზემოაღნიშნული დაუბეგრავი მინიმუმი 500, 600 და 700 მანეთის ოდენობით, ისე როგორც ამჟამად, გამოყენებული იქნება მხოლოდ ძირითად სამუშაო ადგილზე, თუ ხელფასის ფაქტიური თანხა არ აღემატება ამ ოდენობებს შესაბამის წელს. მაგალითად, 1960 წელს თუ ოქტომბრის ფაქტიური ნაშოვარი 500 მანეთია და ნოემბრისა 510 მანეთი, სამუმოსავლო გადასახადი ნოემბრის ხელფასის მიხედვით დაექვითება 3 მანეთისა და 60 კაპიკის ოდენობით.

რაც შეეხება ხელფასს შეთავსებით მუშაობის მიხედვით არა ერთს დაწესებულებაში, და სხვა შემოსავალს არაძირითად სამუშაო ადგილზე, ამ შემოსავლიდან გადასახადები დაკავებული იქნება ადრინდელ საფუძველზე ე. ი. შემოსავლის ოდენობისაგან დამოუკიდებლად და გადასახადების შემცირებული განაკვეთების გამოუყენებლად.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადისა და უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის საბოლოოდ გაუქმება მოხდება 1965 წლის 1 ოქტომბრიდან.

ამასთან იმ მუშათა და მოსამსახურეთაგან, რომელთა სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები დაწესებულია თვეში 1.000 მანეთამდე, გადასახადები გაუქმებული იქნება მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე. ეს მუშა-მოსამსახურენი ხელზე მიიღებენ გადასახადების მთელ თანხას, რასაც ადრე იხდიდნენ. მაგალითად, მუშა ან მოსამსახურე, რომელსაც თვეში 900 მანეთი ხელფასის განაკვეთი აქვს, 1964 წლის 1 ოქტომბრიდან გადაიხდის საშემოსავლო გადასახადს 54 მანეთსა და 70 კაპიკს, ხოლო 1965 წლის 1 ოქტომბრიდან გადასახადის გაუქმების შემდეგ ხელზე მისაღები ხელფასი გაიზრდება ამ გადასახადის მთელი თანხით. თუ მუშა ან მოსამსახურე იხდიდა უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადს, მაშინ მას მისაღები ხელფასი გაუდიდდება დამატებით ამ გადასახადის თანხითაც.

იმ მუშათა და მოსამსახურეთაგან საშემოსავლო გადასახადის გაუქმებისას, რომელთა სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები თვეში 1.000 მანეთიდან 2.000 მანეთამდეა, მათ ხელზე მისაღები ხელფასი გაეზრდება ანა საშემოსავლო გადასახადის მთელი იმ თანხით, რასაც ისინი ადრე იხდიდნენ, არამედ მისი ნაწილით — დიფერენცირებულად.

თვეში 2.000 მანეთზე მეტი სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების მქონე მუშა-მოსამსახურეთაგან საშემოსავლო გადასახადი გაუქმებული იქნება ამ განაკვეთებისა და სარგოების შემცირებით, მაგრამ გამოანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის მთელი თანხით. მაშასადამე, ამ მუშა-მოსამსახურეთაც უცვლელად დარჩებათ ხელზე ფაქტიურად მისაღები ხელფასი.

უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გაუქმება, 1965 წლის 1 ოქტომბრიდან მოხდება მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე. ამ გადასახადის თანხით გაეზრდება მისაღები ხელფასი ყველა გადამდელს მიუხედავად მათი ხელფასის ოდენობისა.

აღრიცხვის მონაცემებიდან ჩანს, რომ იმ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, რომელთაც ხელფასი გაუდიდდებათ მათ მიერ გადასახდელი გადასახდელების მთელი თანხით ან მისი ნაწილით, შეადგენს ყველა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის 99,4 პროცენტს. ამასთან 59,4 მილიონ მუშა-მოსამსახურეს ხელზე მისაღები ხელფასი გაეზრდება საშემოსავლო გადასახადისა და უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის დაკავება თვეში 700 მანეთამდე ხელფასიდან. ამ გადასახადების ოდენობა კი საშუალოდ აგრეთვე 40 პროცენტით შემცირდება 701-დან 800 მანეთამდე ხელფასზე. მაგალითად, 702 მანეთი ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადი გადახდება მხოლოდ 1 მანეთის ოდენობით ნაცვლად ახლანდელი 46 მან. 24 კაპიკისა; 750 მანეთზე — 29 მანეთი ნაცვლად 52 მანეთისა;

1963 და 1964 წლებში კიდევ უფრო გაფართოვდება იმ პირთა რიცხვი, რომელთა ხელფასიდან გადასახადების დაკავება იწარმოებს შემცირებული განაკვეთებით. 1963 წლის 1 ოქტომბრიდან შემცირებული იქნება საშემოსავლო გადასახადისა და მარტოხელა მოქალაქეთა გადასახადის განაკვეთები სამუშაო ადგილზე თვეში 501 მანეთიდან 600 მანეთამდე ხელფასზე, ხოლო 1964 წ. 1 ოქტომბრიდან 701 მანეთიდან 1.000 მანეთამდე ხელფასზე.

ეს ნიშნავს, რომ ამ ოდენობებზე ნაკლები ხელფასის მქონე ადამიანებს, ისევ როგორც ამჟამად, ხელზე მიეცემა ხელფასის სრული თანხა. ეს ეხება 1960 წლის 1 ოქტომბრიდან 500 მანეთამდე ხელფასზე, 1961 წლის 1 ოქტომბრიდან 600 მანეთამდე ხელფასზე, 1962 წლის 1 ოქტომბრიდან 700

ფაქტები ამხილებენ აშშ აგრესიულ პოლიტიკას

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). ... ივლისის დღის სხდომაზე უშიშროების საბჭო კვლავ განიხილავდა საკითხს ... შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ახალი აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ... საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას". პოლონეთის წარმომადგენელმა ლეონდერ ლეგასოვმა, რომელიც პირველად გამოვიდა, დამსწრეთ მოაგონა, ... მხოლოდ ორი თვის წინათ უშიშროების საბჭომ განიხილა „უ-2" ჯაშუშური თვითმფრინავის პროვოკაციული ... საკითხი. შემთხვევა, რომელსაც ... ახლა განიხილავს, უფრო სერიოზული. იგი წარმოადგენს გამოვლინებას და დადასტურებას პოლიტიკისა ... ადამიანურ ლტოლვილებს საშუალებებს", რომელიც საბჭოლმწიფო მდივანმა ბერტერმა ... ამოიცანა. ამ უბრალოდ ნეტარ ... ჯაშუშური ფრენის პრაქტიკა ... ამერიკის ოფიციალური პოლიტიკა ... ჩარჩოებამდე.

... ეფუძნებოდა იმისა, რომ წინა შემთხვევის დროს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ხმა მისცა რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებდა პატიცენ სახელმწიფოთა სუ... ენიტეტსა და ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, ... ამერიკის მთავრობამ უგულებელყო ნაკისრი ვალდებულებანი, განაცხადა პოლონეთის წარმომადგენელი. ფაქტი ფაქტად რჩება. ... ხელობრ, ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი შეიჭრა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში, რაც საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ... ორგანიზაციის წესდების ახალი ... ეს ... ლეონეთის, ტუნისის, ცეილონის, ... ეგვადორის დელეგატების გამოსვლის ... ... სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა თქვა: საკითხი, რომელსაც ახლა უშიშროების საბჭო განიხილავს, უადრესად საფრთხილია. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მთელი რიგი წლების განმავლობაში ახორციელებს აშკარა პროვოკაციებს საბჭოთა კავშირის ... ... თავისი სამხედრო თვითმფრინავების სისტემატური შეგზავნით საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში, რითაც ... ... ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სუ... ... ...

ფიზკულტურა და ხელოვნება

მკითხველის რეპლიკა

თვითმოქმედება თუ თვითგვემა?

ბევრი კარგი, ნამდვილად გულში ჩამწვდომი სიტყვა გაისმა ამას წინათ ბავშვთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით საღამოზე. პატარებმა თავი ისახელეს, მაგრამ, ალბათ, ბევრი შეეკითხა იმ საღამოს თავის თავს: რა არის ბავშვთა თვითმოქმედების მიზანი, ნუთუ მხოლოდ უფროსთა გასართობად ეწევიან პატარები თვითმოქმედებას? განა ამ რეპერტუარით შეიძლება ბავშვთა სულიერი აღზრდა? რატომ არავინ არ ზრუნავს საბავშვო რეპერტუარისათვის?

აგერ მეორე კლასის მოსწავლე მღერის კომპოზიტორ რ. ლაღიძის „მუხამბაზს“, გუნდი ასრულებს მეტად რთულ ხალხურ „ლელესა“ და „გვიხმობს სამშობლოს“... ბავშვები არ იზოგავენ თავს, იგრძელებენ კისრებს, სჭიმავენ ძარღვებს. პატარა მოცეკვავენი ლამის „გულს შეასკდნენ“, რომ „ქართველიც“, „ხორუმიც“, „განდაგანიც“ და „შეჯიბრიც“ პროფესიონალ მოცეკვავეებზე არანაკლებ შეასრულონ.

სცენაზე გამოდის პატარა ძოცეკვაეთა წყვილი. ბალი თვალებში ჩასცქერის თავის თანამოცეკვავეს, თუმცა ბავშვური ხალასი ბუნება ძალუმად იცავს თავის ასაკს — არ უნდა სახეზე ანიბეჭდოს ვაჟკაცის მომწიფებული გულისთქმა. უფროსებს მაინც მოსწონთ ეს ნაძალადევი „ინსკენირება“. ტაშს უკრავენ, ხან გულიანადაც იცინიან ბავშვის გულუბოყვილო წადილზე — რადაც უხდა დაეჯდეს დიმგზანოს „ნამდვილ დიდ მსახიობს“.

განა უმჯობესი და უფრო მიზანშეწონილი არ არის, რომ ბავშვებმა თავიანთი ასაკისათვის შესაფერისი სიმღერები და ცეკვები შეასრულონ? ხუთი-ექვსი წლის ასაკში ვინ კითხულობს „ანა კარენინასა“ თუ „ოთარაანთ ქვრივს“? პატარებს თავიანთი დასურათებული წიგნები აქვთ... დროა, ნამდვილად დროა, რომ ჩვენმა კომპოზიტორებმა, მწერლებმა, ქორეოგრაფებმა თუ პედაგოგებმა იზრუნონ საბავშვო რეპერტუარის შესაქმნელად. თუ არა და „ძველი ოლიმპიადური გზით“ უეჭველად დავამახინჯებთ ჩვენი ბავშვების სულს, დავუზიანებთ გონებასაცა და ზნეობასაც.

თვითმოქმედება ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა და არა მარტო სანახაობების მოწყობა. რა შეედრება იმ სიამოვნებას, როცა ბავშვი წკრიალა ხმით თავის გულის შესაფერის სიმღერას ასრულებს!

გ. მჰედლიძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

მ რავალი თბილისელი შეიკრიბა თბილისის აეროპორტზე რუსთაველელთა შესახვედრად, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს თავიანთი გასტროლები და ჩვენს დედაქალაქში დაბრუნდნენ.

სურათზე: თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები თბილისის აეროპორტზე.

ფოტო ვ. ბეგოიანისა.

„ღირსეული ცვლა“

ეკრანზეა ჩვენი თანამედროვეობა

ვინ არ მოსულა ამ დღეს პლეხანოვის კლუბში: თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები თუ სხვა საწარმოებიდან სტუმრები. მოსულან ცოლ-შვილით, მეგობრებით.

აგერ ნოდარ ნიკოლაძე, მისი ბრიგადის წევრები; ერთად სხედან ჭაბუკები. ისინი დღეს განსაკუთრებით ღელავენ, ღელვის მიზეზი კი მართლაც აქვთ.

ეს არის დამთავრდა ქართველ კინომუშაკებთან შეხვედრის ხაზეიმო ნაწილი. მოისმინეს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს კინოსტუდიის დირექტორის ვ. კუპრავას მოხსენება, კინონარკვევ „ღირსეული ცვლის“ რეჟისორის შ. ჩაგუნავას საუბარი ფილმზე მუშაობის შესახებ, სხვა ამხანაგების გამოსვლები და ახლა კი უჩვენებენ თვით ამ ახალ კინონარკვევს „ღირსეულ ცვლას“, რომელიც მიეძღვნა ნოდარ ნიკოლაძის კომუნისტურ შრომის ბრიგადას.



და აი ფილმი დაიწყო. ეკრანზე გამოჩნდა ნაცნობი სურათები — მწვანეში ჩაფლული ყოფილი ნაძალადევი, დღეს კი თბილისის ერთერთი სამრეწველო უბანი.

...ღილაა. ქარხნის საყვირის ხმა აღვიძებს მდამოს. იღვიძებს შრომის ვეტერანი დავით ამირანაშვილი. იგი ჭაბუკური სისწრაფით დგება და ქარხანაში წასასვლელად ემზადება. იღვიძებენ ახალგაზრდებიც, ნოდარ ნიკოლაძე, მისი ბრიგადის წევრები.

კადრებს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გადავყავართ იმ ქარხანაში, სადაც პირველად დაირწა ამერკავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის აკვანი. ამჟამად აქ არაერთი მოწინავე ადამიანი შრომობს.

აი ცნობილი მუშები — სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე, ჩქაროსანი ხარატი ი. ჭუმბურიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. მარგველაშვილი და სხვები.

შრომის ამ ვეტერანებს ღირსეული ცვლაც ეზრდებათ. ესენი არიან ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები. ეკრანზე მოჩანს ნოდარ ნიკოლაძე თავის ჩარხთან. აქვე არიან შრომაში გართული მისი ამხანაგები ედუარდ გევორქიანი, ტარიელ ჭუბაბრია, ოთარ ნიკოლაძე, ვიქტორ ქურდოღლი, გივი გელაზონია, გურამ ბაქრაძე და სხვები.

ფილმის „ღირსეული ცვლის“ ავტორებმა მწერალმა ს. ნვერავამ, რეჟისორ ს. ჩაგუნავამ, ოპერატორმა ლ. არზუმანოვმა საინტერესოდ ასახეს ამ ღირსეული ახალგაზრდობის ყოველდღიური საქმიანობა, მათი ბეჯითი სწავლა და მეგობრობა.

ეკრანზე მოჩანს ოთარ ნიკოლაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიაში, სადაც ის საღამოს განყოფილებაზე სწავლობს და წარმატებით ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს, ბრიგადის დანარჩენი წევრები კი ქარხნის მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში სწავლობენ ან ემზადებიან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

მეგობრები ყოველთვის ერთად არიან. კადრები გვიჩვენებენ მათ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, სამგორის ველზე, სადაც ქარხნის სხვა მუშებთან ერთად ამწვანებენ ამ მიდამოს, ერთად ილხენენ.

...აი ნეფე-პატარძალი — ბრიგადის წევრი ედუარდ გევორქიანი და ამავე ქარხნის ზუსტი საზომების ლაბორატორიის შემმოწმებელი მედეა მჭედლიძე თავიანთ შეუღლებას დღესასწაულობენ. ამ ახალგაზრდების სიხარულს ნათესავებთან ერთად იზიარებენ ქარხნის ახალგაზრდებიც, უფროსი ასაკის მუშებიც.

კინონარკვევი „ღირსეული ცვლა“, რომელიც ახლახან შექმნეს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს კინოსტუდიის მუშაკებმა, პირველი ფილმია ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადებზე, ჩვენს მუშა-ახალგაზრდობაზე. იგი კარგად მიიღო თვით ქარხნის კოლექტივმა. კინომუშაკებთან ქარხნის მუშების შეხვედრის დასასრულს მათ მადლობის სიგელებით დაჯილდოეს ფილმის შ. ჩაგუნელი შემოქმედებითი მუშაკები.

ლ. ხუციშვილი.

„ტოლსტოი და ხალხი“

არც თუ ისე ძნელია იმის ჩამოთვლა, რაც წარმოდგენილია გამოფენაზე „ტოლსტოი და ხალხი“, რომელიც მოსკოვის, სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში გაიხსნა. გამოფენა ვრცელია, გადატვირთული არ არის ანტიკვარული წიგნებით, არ გვაოცებს მემორიალურ ნივთთა სიუხვით. მაგრამ შედარებით პატარა ექსპოზიცია — ექულ სამი დარბაზი — ვეებერთელა გეჩვენებათ. ასახავს რა ტოლსტოის როგორც — ადამიანს, მოაზროვნეს, მხატვარს, — იგი გაქანებას აძლევს აზრს, ბადებს იმ მოვლენათა სიღიადისა და დიდი მნიშვნელობის გრძნობას, რომელთაც აქ ასახვა პოვეს.

„ხალხისათვის კარგად ის მწერლები წერენ, ვინც თვითონ იცნობს ხალხსა და ცხოვრობს მასთან ერთად“ — ტოლსტოის ეს სიტყვები, რომელიც პირველ დარბაზშია, შეიძლება მთელი გამოფენის ეპიგრაფი გახდეს. მწერლის ფოტოსურათები, მის ნაწარმოებთა პირველი გამოცემანი, უმდიდრესი ტიპოლოგიური მასალა, სტენდები, რომლებიც ასახავენ ტოლსტოის შემოქმედებითს გზას და მსოფლიო სახელს, — მთელი ექსპოზიცია აგებულია ისე, რომ წარმოგვიდგინოს ტოლსტოის ეპოქა. გვიჩვენოს გზა, რომლითაც მწერალი ხალხს შეესისხლხორცა.

აი პირი რიაზანის გუბერნატორის წერილისა შინაგან საქმეთა მინისტრ დურნოვოსადმი ტოლსტოზე საჩივრით, რომელმაც სასადილოები გახსნა დამშეულთათვის. ერთ-ერთ ვიტრინაშია მწერლის სტატიების — „მიწის შესახებ“, „ომის შესახებ“, „არ შემძლია გაჩუმება!“, „აღსარება“ და სხვათა პირველი გამოცემანი, რომლებიც მოწმობენ მწერლის მჩქეფარე საზოგადო მოღვაწეობას, მის მაღალ მოქალაქეობრივობას. ამას ადასტურებენ ექსპოზიციაში შესული ლენინის, გორკისა და სხვათა გამონათქვამები ტოლსტოის შესახებ. ამასვე ასახავენ ფოტოსურათები, რომლებზეც რუსული მიწის დიდი მხატვარი გამოსახულია გლეხთა შორის, სოფლის ბავშვების ჯგუფთან ერთად.

„ანა კარენინასა“ და „ომისა და ზავის“ კორექტურული ფურცლები, არეებზე ჩასწორებული, ზოგ ადგილს მტკიცედ გადახახული, გვაცნობენ მწერლის შემოქმედებითს ლაბორატორიას.

ერთ-ერთ დარბაზში შეკრებილია ლ. ტოლსტოის ნაწარმოებთა გამოცემები მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. საინტერესოა ფოტოპორები ამ ნაწარმოებთა ილუსტრაციებისა, რომლებიც მრავალი ქვეყნის მხატვრებს შეუსრულებიათ. ყურადღებას იქცევს ბანერი „ომისა და ზავის“ ფრანგული ტანსაცმელი, რომელიც ეძღვნება ტოლსტოის პიესების დადგმებს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

(საქდესი).

ოგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ეს მოხდა 4 ივლისს საზღვაო გზაზე ტუნისის ნაპირებთან, სადაც გაცხოველებული მიმოსვლაა. საბჭოთა ტანკერი „პეკინი“ — სამამულო გემთმშენებლობის სიამაყე კუბისაკენ მიდოდა. უეცრად გაისმა ძლიერი დარტყმა. ნორვეგიის ტანკერი „რონდეფიელ“ დაეჯახა ჩვენს ხომალდს. „პეკინის“ წინა ნაწილში ხანძარი გაჩნდა. შეიქმნა სასიკვდილო საფრთხე — გემის ტანკებში ხომ თითქმის 25.700 ტონა ნედლი ნავთობი იყო! მაგრამ საბჭოთა მეზღვაურები არ დაიბნენ, გმირული ღონისძიებებით ცეცხლი ჩააქრეს; ხოლო დაზიანება ლიკვიდირებულ იქნა. ტანკერმა თავისი გზა განაგრძო.

სურათზე: შტურმანი ვ. ჩხაიძე (მარჯვნივ) და ბოცმანი მ. ვლასოვი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ხანძრის ქრობის დროს.

ფოტო ა. ბროდსკისა

...რომ ზეიმოგდეს სიცოცხლე

დიმიტრი ლაბორატორიაში ცოტა ხანს დარჩა. მალე ოპერაცია ეწყებოდა და საჭირო მასალას ეძებდა.. აგერ ისიც, თეთრი კაპრონის გამჭვირვალე ბადე, წვრილი მაგრამ მტკიცე პლასტმასის ძაფი, დანარჩენი ხელსაწყოები ხომ საოპერაციოში უკვე მომზადებული იყო.

მურვანიძემ სწრაფად აიარა კიბე და საოპერაციოსაკენ გაემართა. ვინ მოთვლის რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია გამოცდილ ქირურგუროლოგს დიდი სამამულო ომის ძნიმე წლებში თუ შემდგომ პერიოდში. მაგრამ ყოველი ოპერაციის წინ მაინც ღელავდა.

დღევანდელი ოპერაცია ითვალისწინებდა ავადმყოფისათვის დაბლა დაწეული თირკმლის აწევას და მისთვის პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნებას. — მედიცინაში დიდი გამოყენება ჰპოვა პლასტმასამ, ხელოვნურმა ბოჭკოვანმა ქსოვილებმა — გვიამბობს ქირურგი ოპერაციის შემდეგ. — აი სწორედ ასეთ თხელი კაპრონის ბადეში მოვათავსეთ ავადმყოფის თირკმელი და იგი პლასტმასისავე ძაფის საშუალებით დავამაგრეთ ნეკნზე, ისე რომ მიეცით მას პირვანდელი მდებარეობა. ავადმყოფი მალე განიკურნება და ჩვეულებრივად იგრძნობს თავს. მას არაფერს არ დაუშავებს პლასტმასის ბადე. ის ორგანიზმს მთლიანად შეეზრდება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი გასული წლის ოქტომბერში შეიქმნა. მას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი ა. წულუკიძე, რომელიც თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით სამართლიანად ითვლება უროლოგიური მეცნიერების ფუძემდებლად საქართველოში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიის ინსტიტუტი ფართო სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ეწევა. აქ ძირითადად ორ დიდ პრობლემას სწავლობენ. ეს არის საშარდესასქესო ორგანოების სიმსივნეთა მკურნალობის რადიკალური წესების მონახვაზე. მათ შორის აღსანიშნავია შარდის ბუშტის სრული ამოკვეთის მეთოდიის დამუშავება და სრულყოფა პლასტიკური ქირურგიის გამოყენებით.

კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება საშარდე ბუშტზე განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნის ამოკვეთის აუცილებლობა, მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ.

ერთი მეთოდი ასეთია — ბუშტის კედლის ორგანოების კენჭოვანი დაავადების შესწავლა და მისი პროფილაქტიკა და ავთვისებიანი სიმსივნეების წინააღმდეგ ბრძოლა.

ინსტიტუტის მეცნიერთა ძირითადი ყურადღება მიპყრობილია საშარდესასქესო ორგანოების სიმსივნეთა მკურნალობის რადიკალური წესების მონახვაზე. მათ შორის აღსანიშნავია შარდის ბუშტის სრული ამოკვეთის მეთოდიის დამუშავება და სრულყოფა პლასტიკური ქირურგიის გამოყენებით.

ამოკვეთის შემდეგ შარდსაწვეთებს ნაწლავში გადანერგავენ. ეს ოპერაცია არაფიზიოლოგიურია და ყოველთვის კარგ შედეგს როდი იძლევა.

ამჟამად უროლოგიის ინსტიტუტში მკურნალობის ახალი მეთოდის ძიება დაიწყეს.

საშარდე ბუშტის ამოკვეთის ადგილას დგამენ მისი ფორმის პლასტმასას, რომელშიც 250-300 გრამი სითხე თავსდება. რამდენიმე ხნის შემდეგ ქირურგიული წესით პლასტმასას იღებენ და რჩება ხელოვნური ბუშტის ადგილას განვითარებული ქსოვილი, რომელიც შარდის ბუშტის მაგვრობას განსწავლა. მაგრამ, როგორც დოცენტმა მურვანიძემ გვითხრა, ჯერჯერობით ეს მხოლოდ ცდებია, და თუს საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია.

ქართველ უროლოგებს პროფესორ ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით დიდი დამსახურება მიუძღვით შარდ-კენჭოვანი დაავადების შესწავლაში.

აღსანიშნავია, რომ მინერალური წყლის „საირმეს“ შესანიშნავი სამკურნალო თვისებები თირკმლებისა და კენჭოვან დაავადებათა წინააღმდეგ მეცნიერულად შესწავლილია აკადემიკოს ა. წულუკიძისა და მისი მოწაფეების მიერ. ამჟამად იქ იმყოფება ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიცია მინერალური წყლის შემდგომი სამკურნალო თვისებების გასარკვევად.

ასრულებს გიორგი ისაევი...

ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წინ — ვილნიუსში, ერთერთ სამხედრო ნაწილში ახალგაზრდა თბილისელი ჯარისკაცი გიორგი ისაევი მთელ თავისუფალ დროს ანდომებს იმას, რომ დაეუფლოს აკორდეონის დაკვრის ხელოვნებას. აქვე, საბჭოთა არმიაში, იწყება მისი სისტემატური გამოსვლები საკონცერტო ესტრადაზე. მალე მან თავის პოლკში ჩამოაყალიბა სამხედრო ჯაზ-ორკესტრი, რომელიც წარმატებით მართავდა კონცერტებს.

თორმეტი წელია, რაც გიორგი ისაევი ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში. ამ ხნის განმავლობაში მან შექმნა ფართო და მრავალფეროვანი რეპერტუარი, რომელიც შეიცავს როგორც ქართველ, რუს და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, ისე საკუთარ ნაწარმოებებსაც. სად არ გაუმართავს მას კონცერტები—მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინის, ბელორუსიის, საბჭოთა ჩრდილოეთის, ბალტიისპირეთის, შუა აზიისა თუ ამერიკაკავკასიის ქალაქებში და სხვ. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავდნენ გასტროლებზე ჩასული ქართული ესტრადის ამ ნიჭიერი წარმომადგენლის მიერ აკორდეონზე შესრულების ტექნიკურ სიმსუბუქეს, ოსტატობას და მუსიკალური ბალიტრის მრავალფეროვნებას, ხოლო ბალტიისპირეთის ერთ-ერთმა გაზეთმა „სტრაკ ბალტიკომ“ მას „აკორდეონზე შესრულების ვირტუოზი“ უწოდა.

ჟ. მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით ქართული ხელოვნების წინაშე დასახული მოვალეობისათვის გიორგი ისაევი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებულ იქნა საპატიო სიგელით. გარდა ამისა, საბჭოთა არმიის ნაწილებში აქტიური საშეფო მუშაობისათვის კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ მისთვის არაერთგზის გამოუცხადებიათ მადლობა და დაუჯილდოებიათ საპატიო სიგელით.

ისაევი მუსიკალურ-ორგანიზატორულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მისი უშუალო ინიციატივით და მონაწილეობით თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბთან ჩამოაყალიბდა აკორდეონისტთა კლასი, ხოლო საქართველოს ფილარმონიაში — საესტრადო ინსტრუმენტალური კვარტეტი, რომელიც პირველი იყო რესპუბლიკაში. ამჟამად ის ხელმძღვანელობს უშუალოდ მის მიერ შექმნილ სამ კოლექტივს — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის საესტრადო ორკესტრს, რკინიგზელთა სახლთან არსებულ აკორდეონისტთა საბავშვო ანსამბლს და ასორიული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს.

დ. გველესიანი.

* * *

სურათზე: საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი გიორგი ისაევი.

ინქინრის მუყაითობამ გაიმარჯვა

ქარბად გაპრიალებული და გალაქული ავეჯი მომხმარებლის დიდ მოწონებას იმსახურებს. ავეჯის გალაქვისათვის დღემდე წარმოებაში იყენებდნენ პულვერიზაციის წესს. ნიტროლაქს ასხამენ პულვერიზატორში და შეკუმშული ჰაერის საშუალებით ასხამენ ავეჯის ზედაპირზე. მაგრამ გალაქვის ასეთი წესის გამოყენებას ახლავს მთელი რიგი ნაკლოვანებები. მოსხმის დროს ჰაერში იკარგება 40-70 პროცენტამდე ძვირფასი ნედლეული — ნიტროლაქი, იგი ქმნის წარმოებაში სახანძრო საშიშროებას და ამავე დროს ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

თბილისის საავეჯო კომბინატის მთავარმა ინჟინერმა გ. ხვედელიანმა ამას წინათ შექმნა ნიტროლაქის დამსხმელი აპარატი, რომლის გამოყენება გამორიცხავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებებს. ამჟამად ასეთი აპარატი დგას საავეჯო კომბინატში და მისი გარატი მუშაობს ასეთი სისტემით:

ნიტროლაქი ისხმება აპარატის ქვემო რეზერვუარში, შეკუმშული ჰაერის საშუალებით ადის ზემო რეზერვუარში, რომელსაც ავსებს. აქედან სპეციალური სავარცხლისებრი მოწყობილობით ლაქი ესხმება ფრაქციებში, სადაც იწმინდება ყოველგვარი მინარევებისაგან და შემდეგ გადმოდის ეკრანზე, იშლება მასზე თანაბარი სისქით და, რაკი ეკრანი დახრილია 30 გრადუსით, მოემართება ძირს.

ეკრანი მთავრდება მჭრელი დანის პირით, რომელიც მთელ სიგრძეზე ჭრის ლაქს ერთნაირი სისქით და გამქვირვალე ფარდისებურად ჩამოეკიდება. სპეციალური მოწყობილობის საშუალებით აეჯის დეტალი გადის ამ ფარდის ქვეშ და მას ლაქი ესხმება ერთნაირი სისქით.

ნიტროლაქის ახალი აპარატი ჩვენს რესპუბლიკაში უკვე მუშაობს ადგილობრივი მრეწველობის № 5 საავეჯო ფაბრიკაში. ამჟამად აპარატს ამზადებენ ახალდაბის, ბათუმის, ქუთაისის, სტალინირის საავეჯო საწარმოები.

ექიმ-სპეციალისტთა გრიგადა მესტიაში

ამას წინათ მესტიის რაიონში იმყოფებოდა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტთა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები ს. ღამბაშიძე, მ. ბოჭორიშვილი, დოცენტები ვ. სულაქველიძე, ლ. ავალიანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ი. ციციშვილი და ს. ჯაფარიძე.

ბრიგადა მუშაობდა როგორც რაიონულ საავადმყოფოში და პოლიკლინიკაში, ისე ხაიშისა და იფარის საუბნო საავადმყოფოებში. ბრიგადის წევრებმა საავადმყოფოში, პოლიკლინიკაში, საექიმო უბნებში მიიღეს და კონსულტაციები გაუწიეს 514 ავადმყოფს, გააკეთეს 5 ოპერაცია, მათ შორის 2 — სასწრაფო.

მოსახლეობისათვის მესტიის კულტურის სახლში წაკითხულ იქნა პოპულარული ხასიათის ლექციები თემებზე: „დიზენტერია და მასთან ბრძოლა“, „დიფტერია და მასთან ბრძოლა“, „ქალის ჰიგიენა“ და სხვ. გარდა ამისა, ბრიგადის წევრებმა სოფლებში ხაიშსა და იფარში გამართეს სამედიცინო ხასიათის საუბრები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

მ. რატიანი.

...ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინგრადში სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდური პირველობის გათამაშების დამთავრებამდე რამდენიმე ტური დარჩა. სწორედ ამ ტურების შედეგებმა უნდა გადაწყვიტოს პირველობის საკითხი — გამოავლინოს ახალი ჩემპიონი. ჯერ კიდევ ძნელია იმის თქმა, ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით, ამ წოდების მთავარი პრეტენდენტები კვლავ სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები არიან.

მართალია, მერვე, მეცხრე და მეათე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ძლიერ მეტოქეს — ამერიკის გუნდს ხელიდან გამოსტაცეს ინიციატივა და სატურნირო ცხრილის სათავეში ძოვქცნენ, მაგრამ მომდევნო ტურში ამერიკელები კვლავ დაწინაურდნენ და ლიდერობა დაიბრუნეს.

ეს მოხდა 27 ივლისს მე-11 ტურში. ამ დღეს სსრ კავშირის სტუდენტი მოჭადრაკეები შეხვდნენ უნგრეთის გუნდს. შეჯიბრება ყველა დაფაზე საინტერესო აღმოჩნდა. მატჩი დამთავრდა ყაიმით — 2 : 2, საბჭოთა მოჭადრაკეებიდან გაიმარჯვეს სპასკიმ და კლოვანმა, ხოლო ნიკოლაევსკი და გურგენიძე დამარცხდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი შეხვდა ფინელ მოჭადრაკეებს. ბრბერგა ამერიკელთა უპირატესობით წარმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 3 : 0. 1 პარტია გადადებულია.

თერთმეტი ტურის შემდეგ წინ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, რომელსაც 32 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს უკეთეს მდგომარეობაში. სსრ კავშირის გუნდს 32 ქულა აქვს. იუგოსლავიის მოჭადრაკეთა კოლექტივს — 29 ქულა.

საბჭოთა მოჭადრაკეები ჰამბურგში

ჰამბურგი, 28 ივლისი. (საკდესი). აქ გაიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩის პირველი ტური.

გუშინდელმა დღემ პირველი გამარჯვება მოუტანა საბჭოთა მოჭადრაკეებს, რომლებმაც ტური დაამთავრეს შედეგით 6,5 : 0,5; ერთი პარტია გადადებულია.

თამაშობდნენ რა თეთრებით, კოტოვმა მოუგო ბიალასს, ტალმა — ლემანს, გელერმა — ძორლოკს. ტოლუშმა — პფეიფერს, პეტროსიანმა — ტეშნერსა და კეოესმა — ტრეგერს. ბოლესლავსკიმ ყაიმით დაამთავრა მეხვედრი დარგასთან. გადადიო პოლუგაევსკი-ჯოტესის პარტია.

ქალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი

მოსკოველი სპორტის მოყვარულები ქალათბურთელთა დიდი ასპარეზობის მოწმენი არიან. აქ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის სპორტის სასახლეში რამდენიმე დღეა გრძელდება სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და საფრანგეთის ქალათბურთელ ვაჟთა ნაკრები კოლექტივების საერთაშორისო ტურნირი.

27 ივლისს გაიმართა მორიგი შეხვედრები. ამ დღეს სსრ კავშირის საკლუბო ნაკრები გუნდი შეხვდა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს. შეჯიბრება შეუპოვარი და მძაფრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ქალათბურთელებმა ძლიერი მეტოქეობა გაუწიეს საკლუბო ნაკრებს, მათ არ ეყოთ სატურნირო ბრძოლის გამოცდილება და წაგეს შეხვედრა ანგარიშით 61 : 73.

ყურადღების ცენტრში იდგა ტურნირის ორი ლიდერის — ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა.

მატჩი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ ბოლოს ჩეხოსლოვაკიის ქალათბურთელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს ანგარიშით 69 : 64.

მომავალი ჩემპიონატების წინ

საბჭოთა მოჭადრაკე ქალები ემზადებიან მომავალი დიდი ასპარეზობებისათვის — სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებში მოეწყობა, აგრეთვე სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშებისათვის.

ახლა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მოჭადრაკე ქალები შეკრებას გადიან მოსკოვში სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელის კონსტანტინოპოლსკის ხელმძღვანელობით. ისინი აქ ისმენენ ლექციებს, გადიან წვრთნას, აწყობენ ტურნირებს. საქართველოდან შეკრებაზე იმყოფებიან ოსტატი გაფრინდაშვილი, ტოგონიძე და სხვ.

სტუდენტთა საზაფხულო ასპარეზობა

ხარკოვიდან ეცნობა, ამ ზაფხულ ... ...